# დავით თენიეშვილმა გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლობას დავა სააპელაციო სასამართლოშიც მოუგო

## დაზარალებულს 6 ათასი ლარის ზარალი უნდა აუნაზღაუროს

თემურ მარშანიშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის მკვიდრმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა და სოფლის მეურნეობის დარგში საზოგადოებისათვის კარგად ცნობილმა სპეციალისტმა დავით თენიეშვილმა გარემოს დაცვის წარმომადგენლებს სამწლიანი დავა 1 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოშიც მოუგო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ უწყებამ დაზარალებულს 6 ათასი ლარის ზარალი უნდა აუნაზღაუროს.

დავით თენიეშვილის ოჯახის ტრადიციული საქმიანობა თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით ცნობილია. 40 წელია, რაც მას თავის საკარმიდამო ნაკვეთზე, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მარადმწვანე, წიწვოვანი მცენარეების, კერძოდ, კავკასიური მთის ნაძვის ნერგები გამოჰყავს. თავის დროზე ამ სფეროში თენიეშვილის ოჯახთან თანამშრომლობდა გამწვანების ტრესტი. აქ გამოყვანილი ნერგებით მწვანე საფარით გარემოს განაშენიანების მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული აჭარაში, ოზურგეთში – სადგურისა და თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიებზე, ქალაქის სხვა უბნებშიც.

დავით თენიეშვილს ნაძვის ნერგები სხვა მიზნითაც გამოჰყავდა, კერძოდ, ის ახალი წლის წინა დღეებში ამ ნერგებს ფესვებიანად ათავსებდა ქოთნებში და რეალიზაციას უკეთებდა, როგორც საახალწლო ნაძვისხეებს. შემძენი მოქალაქეები საახალწლო დღეების გასვლის, ანუ 15-18 დღის შემდეგ, ამ ნერგებს რგავდნენ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე, ან აგარაკებზე. როგორც თენიე-ვილი ამბობს, ასეთი თანამშრ-ომლობით თითქმის 18 წელია საქმიანობს და ჯერ უკმაყოფილო ადამიანი არ ჰყოლია.

დავით თენიეშვილსა და გარემოს დაცვის სამინისტროს ერთ ჯგუფს შორის „შავმა კატამ მას შემდეგ ჩაიარა“, რაც ამ უკანასკნელმა 2013 წლის დეკემბრის ბოლოს, თბილისში, ნერგების რეალიზაციის საწყის ეტაპზე,

გვ-4


# ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №46 (10187), 14 ნოემბერი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.


## ანასეულში რადიაციის დონე მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველი არ გახლავთ

**ალიონი.** აღნიშნული დასკვნა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს უფროსმა და სპეციალისტებმა დღეს, მას შემდეგ გააკეთეს, რაც ანასეულში რადიაციული სამარხები მოინახულეს და ტერიტორია შესაბამისი აპარატურის საშუალებით შეამოწმეს.

მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით, ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კიდევ ერთხელ მიმართა. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს

გვ-2

## ქირავდება!

ოზურგეთში, ნიკო ნიკოლაძის (ყოფილი სტახანოვის) №2-ში ქირავდება ორსართულიანი შენობა, საწყობით. მოწყობილი ინფრასტრუქტურითა და ყველა საჭირო ინვენტარით. ფართი გამოდგება მაღაზიისა და ოფისისთვის.

საკონტაქტო ტელ: 599 26 78 78

ფასი შეთანხმებით.

## მეგაპროექტი ურეკში წარმატებით მიმდინარეობს

**ალიონი.** 2015 წელს დაწყებული დაბა ურეკისა და შეკვეთილის წყალმომარაგების და წყალარიდების პროექტი წარმატებით მიმდინარეობს. უკვე შესრულებულია სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

გაზეთი „ალიონი“ კვლავ დაინტერესდა მშენებლობის მიმდინარეობით და გასულ ხუთშაბათს სამშენებლო პოლიგონები მოინახულა.

ორიოდ სიტყვით პროექტის შესახებ: ურეკის წყალმომარაგების და წყალარიდების პროექტის განსახორციელებლად აზიის განვითარების ბანკი 73 მილიონ ლარს გამოყოფს. დამკვეთი საქართველოს წყალმომარაგების კომპანიაა. 63 მილიონი ლარის სამუშაოებს შპს „ფერი“ (ვენერალური დირექტორი სოსო მჭედლიშვილი) შეასრულებს, ხოლო გერმანულ - ქართული კომპანია „ფაიფერი“ გამწმენდ ნაგებობას ააშენებს. აღნიშნული ფირმა 10 მილიონამდე ლარის სამუშაოებს შეასრულებს.

შპს „ფერი ერთ-ერთი ძლიერი და ცნობილი სამშენებლო ფირმაა საქართველოში. მის სახელს უკავშირდება ისეთი დიდი პროექტები, როგორიცაა თელავის წყალმომარაგების, ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია; ქალაქ ბორჯომის, დაბა ბაკურიანის, ანაკლიის, განმუხურის წყლის სისტემების რეაბილიტაცია; ისინი აგებენ 150-მეგავატიან ჰესს ყაზბეგში; ააგეს მცირე და საშუალო ჰესები პანკისის ხეობაში, სვანეთში, რაჭაში და ა.შ. ისინი გურიაშიც სამუშაოების ხარისხიანად შესრულებას აპირებენ.

რა სამუშაოებს შეასრულებს შპს „ფერი.“—წყალს სოფელ მერიაში, „ციხის ჭაბურღილებიდან“ მიიღებენ. აქვე მოეწყობა 150 კბ. მეტრი მოცულობის რეზერვუარი, საიდანაც წყალი 710-მმ-იანი პლასმასის მილებით 19 კმ მანძილს გაივლის და წვერმაღალაში წყალსაქაჩში 2 რეზერვუარს შეავსებს. ძირითადი რეზერვუარი 5400 კბ. მეტრი მოცულობის იქნება, ხოლო სარეზერვო 1500 კბ მეტრი მოცულობის.

შპს „ფერის“ ოფისში ყოფნისას მშენებლობის მენეჯერი გელა წოწორია დაბა ლაითურში იმყოფებოდა. ტელეფონით გავესაუბრეთ:

—დაბა ლაითურში არტეზიული ჭებიდან მივიღებთ წყალს. 3 ჭაბურღილი უკვე გაკეთდა, 4 ჭაბურღილი კიდევ გაკეთდება—გვითხრა მან.

შპს „ფერიში“ გვითხრეს, რომ ამ მშენებლობის პარალელურად დაბა ურეკში შიდა ქსელის მოწყობა მიმდინარეობს. სულ 49 კილომეტრი შიდა ქსელი მოეწყობა ურეკში, შეკვეთილსა და კაპროვანში. მათი გრაფიკით მშენებლობების 95 პროცენტი 2017 წელს, ახალი საკურორტო სეზონის გახსნამდე უნდა დასრულდეს, ხოლო მთლიანი პროექტი –2018 წელს და სეზონზე ურეკი-შეკვეთილის მცხოვრებლები და დამსვენებელი ამ მნიშვნელოვანი მეგაპროექტის მთელი სიკეთით

გვ-3

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



**დაიწყეთ ყოველი თვიურიდან ალიონზე**

# ანასეულში რადიაციის დონე მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველი არ გახლავთ

წარმომადგენლებმა ანასეულის მიმდებარე ტერიტორია, ქალაქის მერის მოთხოვნით, უკვე მეორედ შეამოწმეს. გასული წლის მსგავსად, რადიაციის მაჩვენებელი დაშვებულ დონეს ამჯერადაც არ აღემატება.

ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე:

–„ხსენებული სააგენტო ანასეულში კვლევას სისტემატურად ატარებს. ბოლო გეგმიური კვლევა ანასეულში მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში ჩატარდა, რის საფუძველზეც სააგენტომ შეღობილი ტერიტორიის გაფართოების რეკომენდაცია მოგვცა, რათა ხსენებულ ტერიტორიაზე ადამიანებისა და ცხოველების წვდომა მაქსიმალურად შეზღუდულიყო. ქალაქის მერიამ რეკომენდაცია გაითვალისწინა და ტერიტორია დამატებით შეღობა.

მინდა მოსახლეობას ვუთხრა, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს. შემოწმების პროცესს პირადად ვადევნებდი თვალს. როგორც სპეციალისტებმა განაცხადეს, ანასეულში რადიაციის დონე დაშვებულ ნორმას არ აღემატება.

# ორი სასიამოვნო შემთხვევა

გასულ ოთხშაბათს, საღამოს, ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩაზე შეშით დატვირთული სატვირთო ავტომანაქნა იდგა. მძღოლი და ორი მგზავრი საბურავებს ამოწმებდნენ.მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ლადო ჩავლეიშვილი შევიცანი.

– რა პრობლემა გაქვთ-მეთქი?- შევეკითხე.

– მუნიციპალიტეტის გამგეობამ სოფელ მთისპირში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ქალბატონს სოფელ ჭანიეთში შეშა გამოუყო. ტრანსპორტირებაშიც დავეხმარეთ და ახლა ავტომანქანის საბურავებს ვამოწმებთ, ამდენ ტვირთს მშვიდობაური-მთისპირის აღმართზე თუ გაუძლებსო...

მეორე დღეს დაბა ურეკში მივდიოდით. ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის დეპუტატს ბიძინა იმნაიშვილს დავემგზავრეთ. ავტომანქანაში ადგილობრივი მცხოვრები დავით ქავთარაძე ეჯდა.

როგორც შემდეგ გავიგეთ, დავითი რუსეთის ფედერაციაში, კემეროვოში სწავლობდა. არეულობა რომ დაიწყო, მშობლიურ ქვეყანაში ჩამოვიდა და ისე მოხდა, რომ 20 წელზე მეტია პასპორტი არ აქვს.

– საკმაოდ რთული პროცესია. უკვე მერამდენედ ვიყავით ერთად ოზურგეთში. აღდგენის პროცესი მიმდინარეობს და იმედია, მალე დავასრულებთ ამ პროცესს -გვითხრა დეპუტატმა.

უჩვეულო არაა, მაგრამ გამიხარდა, რომ ადგილობრივი დეპუტატები უშუალოდ მონაწილეობდნენ თანასოფლელების პრობლემის მოგვარებაში.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ორთავე შემთხვევა ჟურნალისტის ბლოკნოტში ჩავინიშნეთ.

# ჯერ ფოლკლორის ცენტრი, შემდეგ მუზეუმი

## ქალაქ ოზურგეთში ფოლკლორის ცენტრის რეაბილიტაცია დაიწყო

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაიწყო. ფოლკლორის ცენტრი ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ერთ-ერთ ფლიგელში განთავსდება.

ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ სამუშაოები პირადად მოინახულა და ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელთან ერთად ის საკითხები განიხილა, რომელიც პროექტით არის გათვალისწინებული.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქალაქ ოზურგეთის ფოლკლორის რეგიონულ ცენტრში საქართველოს ფოლკლორის ფონდის საცავი განთავსდება. პროექტის დასრულების შემდეგ ცენტრში საკონცერტო დარბაზი, ხმის ჩამწერი სტუდიები და სალოტბარო სკოლა მოეწყობა.

,,ქალაქში უკვე ორი მასშტაბური პროეტის განხორციელება მიმდინარეობს. ფონდი ''ქართუ''- ს მიერ რეაბილიტაცია უტარდება თეატრის შენობას, ხოლო მუნიციპალური განვითარების ფონდი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეაბილიტაციას ახორციელებს. ფოლკლორის ცენტრის რეაბილიტაციის დასრულების შემდგომ დაიწყება მუზეუმის მეორე ფლიგელის რემონტი და ქალაქ ოზურგეთს კეთილმოწყობილი, ყველა თანამედროვე სტანდარტის მქონე მუზეუმი ექნება. ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მალე განახლებული და სულ სხვა იერის მქონე ქალაქი გვექნება '' - აღნიშნა ბეგლარ სიორიძემ.

ფოლკლორის ცენტრის არსებობა ხელს ქალაქ ოზურგეთის პოპულარიზაციასა და ტურისტული პოტენციალის გაზრდას შეუწყობს. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ვისაც ფოლკლორი აინტერესებს, საშუალება ექნება ფოლკლორის ხელოვნებას სრულყოფილად დაეუფლოს.

# ტუბერკულოზით დაავადებული ყველა რეგისტრირებული პაციენტი უზრუნველყოფილი იქნება საჭირო მედიკამენტებით




**პროგრამის ფარგლებში:**

**გაუმჯობესდება მკურნალობაზე დამყოლობა მკურნალობაზე მეთვალყურეობის ახალი მეთოდების დანერგვის შედეგად;**

**სამეცნიერო კვლევების მეშვეობით მოპოვებული იქნება სარწმუნო ინფორმაცია პროექტის განხორციელების ეფექტიანობის შეფასებისათვის.**

**თავიდან აცილებული იქნება ტუბერკულოზის ეპიდემიის ფართომასშტაბიანი გავრცელება პოპულაციის მაღალი რისკის ჯგუფებში;**

**გლობალურ ფონდთან მოლაპარაკებების საფუძველზე მომზადდა „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ პროგრამა**

**ტუბერკულოზის ყველა ფორმის დროული და ხარისხიანი დიაგნოსტიკისა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, შემცირდება დაავადების გავრცლება და სიკვდილის შემთხვევები, ასევე მოახდენს წამლისადმი რეზისტენტობის შემდგომი განვითარების პრევენციას**

**პროექტის სრული ბიუჯეტი 2017-2019 წლებისთვის შეადგენს 12,125,491 აშშ დოლარს, მათ შორის 2017 წლის ბიუჯეტი შეადგენს 5,689,013 აშშ დოლარს**

# ბიბლიოთეკის ახალი სახურავი

დასრულდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის სახურავის სრული რეაბილიტაცია. მთლიანად შეიცვალა ხის კარკასი და თუნუქის საფარი, დამონტაჟდა წყლის შემკრები ღარები. ახალმა სახურავმა "გამოცდაც" წარმატებით "ჩააბარა"-მთელი კვირა გადაუღებლად წვიმდა...

სამუშაოები შესრულდა გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (**UNDP**)-ს მიერ დაფინანსებული პროექტის - "ოზურგეთის ბიბლიოთეკა თანამედროვე გამოწვევათა პირისპირ"-ფარგლებში. პროექტის თანადაფინანსებაში მონაწილეობა მიიღო ქ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ.

ცენტრალური ბიბლიოთეკის კოლექტივი მადლობას უხდის უნდპ-ს, ქალაქ ოზურგეთის მერიას და პირადად მერს ბატონ ბეგლარ სიორიძეს თანადგომისა და დახმარებისათვის, ი/მ გიზო ჯალაღონიას და იმ ადამიანებს, ვინც ფიზიკურად შეასრულა ეს შრომატევადი და რთული სამუშაო

# ოზურგეთში ლიფტებს ქურდავენ

**ალიონი.** ბოლო დღეებში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე ორჯერ გაქურდეს 12-სართულიან ბინაში არსებული სამგზავრო ლიფტი.

– ბოლო დღეებში, ორჯერ გაქურდეს 12-სართულიან ბინაში არსებული სამგზავრო ლიფტი. როგორც იცით, ლიფტი მგზავრს სპეციალურ რკინის ყუთში შესაბამისი თანხის ჩაგდების შემდეგ ემსახურება. ჰოდა, ფულის ჩასაგდები ეს ყუთი გაიხადეს სამიზნედ, ორჯერ გატეხეს მასზე დამაგრებული ბოქლომი და თანხა წაიღეს.

თუ რა რაოდენობის თანხა შეიძლება იყოს წაღებული, ლიფტის მომსახურების თანამშრომელმა გვითხრა, რომ თითოეულ შემთხვევაში წაღებული თანხის რაოდენობა 3-დან 5-ლარამდე წვრილი ფული თუ იქნება.

აღნიშნულ ბინაში მცხოვრებლებს, ლიფტში ქურდობის ფაქტზე პოლიციისათვის არ მიუმართავთ.


## განცხადება

სასწრაფოდ იყიდება 4000 კვ მეტრი მიწის ნაკვეთი სოფელ ზედა ბახვში, ცენტრიდან 900 მეტრში. შეღობილი და გაშენებული თხილის ნერგებით. გამოდგება სამოსახლოდ. ნაკვეთამდე მიყვანილია ბუნებრივი აირიც.
ტელ. 579 54 35 43

# მეგაპროექტი ურეკში წარმატებით მიმდინარეობს

ისარგებლებენ.

ძალიან მნიშვნელოვანია საკანალიზაციო სისტემა, რომლის ქსელი 37 კილომეტრზე მოეწყობა. აქედან საკანალიზაციის სადაწნეო მილები 20 კმ, ხოლო ინდივიდუალური დაერთება ოჯახებზე –13 კილომეტრი იქნება.

ამჟამად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი ურეკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაა,, რომელსაც გერმანულ-ქართული კომპანია „ფაიფერი“ ასრულებს. მშენებლობის მენეჯერი, სამშენებლო დარგის მაგისტრი, სერბი სლობოდან ვუკოვიჩია.

– „ჩვენ ფირმას ამ სფეროში მშენებლობის დიდი პრაქტიკა აქვს და მისი არეალი მსოფლიოს რამდენიმე ათეულ ქვეყანას ითვლის. პირადად მე ასეთ პროექტებზე ვმუშაობდი ავღანეთში, ბოსნიაში, მონტენეგროში, სერბეთში. საქართველოში ანალოგიურ პროექტებს განვახორციელებთ ანაკლიასა და სვანეთში. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ასეთი პროექტის ზუგდიდში განხორციელებაზე.“

ჩვენს კითხვაზე, თუ რა სახის გამწმენდი ნაგებობა ექნებათ ზღვისპირელებს მომავალში და რა დონეზე გასუფთავდება შავ ზღვაში ჩამავალი წყლები, იგი გვპასუხობს.

– ჩვენ ამ პროექტში ბევრ ქვეყანაში აპრობირებულ სისტემას ვაკეთებთ. აქ კანალიზაციის შემკრებ და გამწმენ ნაგებობას ვაშენებთ. (იგულისხმება შეკვეთილში მიმდინარე მშენებლობა). მილებით შემოვა მოსახლეობიდან, სასტუმროებიდან და სხვა ობიექტებიდან დაბინძურებული წყალი. აქ საკმაოდ ბევრ ეტაპს გაივლის, ჯერ რკალისებრს ბეტონის კონსტრუქციებში. გაიფილტრება, გაიწმინდება ცხიმებისა და სხვა ნარჩენებისაგან და დანადგარებს ტექნიკურ წყლამდე დაჰყავს კანალიზაციის წყალი. საბოლოოდ ეს წყალი მდინარეს შეურთდება.წყალი იმდენად გაწმენდილი იქნება, რომ შესაძლებელია იგი უკანაც დაბრუნდეს.

–პროექტით რას უპირებენ მყარ ნარჩენებს?

–ნარჩენები ცალკე მუშავდება და მისგან ორგანულ სასუქს მივიღებთ. იქნება მყარი ნარჩენების საწყობი, სადაც მათი დაწნეხვს-დასაწყობება მოხდება.

– რა მოცულობაზეა გათვლილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა?

–ამ ობიექტის მზარდი მოცულობა 40 წელზეა გათვლილი. აქ ზაფხულობით და ზამთრობით სხვადასხვა რეზერვუარები იქნება გამოყენებული.

–როდის გეგმავთ ობიექტის ამოქმედებას?

– ეს ჩვენი „ფერის“ ერთობლივი პროექტია, ამიტომ სამუშაოების დასრულებაზე ერთიანი გეგმა გვაქვს. მშენებლობა-მონტაჟს 2017 წლის ივნისში დავასრულებთ. ამას მოჰყვება გამწმენდი ნაგებობის თანამშრომელთა სამთვიანი ტრენინგი ( გამწმენდი ნაგებობის გამოცდა). შემდეგ კი ოფიციალურად ამოქმედება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ურეკის წყალმომარაგების და წყალარიდების პროექტში ჩართული არიან შპს „პრაიმბეტონი“ (გია გიორგაძე, გიორგი მაკალათია). „ჰიდროგრუპი,“ რომელიც მილებს აკეთებს.

მშენებლობის მიმდინარე პროცესს ესპანური კომპანია „ეპტისას“ ქართველი და უცხოელი ექსპერტები ამოწმებენ.

გაზეთი „ალიონი“ დაბა ურეკში მიმდინარე სამუშაოებითაც დაინტერესდა. ამჟამად წყლის და კანალიზაციის ქსელის მშენებლობა ერთ-ერთ უსახელო ქუჩაზე მიმდინარეობს, რომელსაც მომავალში ცნობილი ექიმის, კურორტ მაგნეტიტის ამაგდარის ნიკა ქარცივაძის სახელს უწოდებენ.

რედაქცია მადლობას უხდის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოდ დეპუტატს ბიძინა იმნაიშვილს და ფირმა „ფაიფერის“გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ოფიცრებს ენი მოქიას და მამუკა დავითაიას გამოჩენილი ყურადღებისთვის.



# ნათია შარაშენიძე: „აქ რომ სიკვდილის ქაღალდი შემოიტანო, იმასაც ხელს მოაწერენ“

**ალიონი.** „აქ რომ სიკვდილის ქაღალდი შემოიტანო, იმასაც ხელს მოაწერენ, დარწმუნებული ვარ“,– განაცხადა გასულ ორშაბათს, 7 ნოემბერს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ლეიბორისტმა დეპუტატმა ნათია შარაშენიძემ.

ეს რეპლიკა მოჰყვა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვას „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სარგებლობის უფლებით) გაცემის თაობაზე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მცემის შესახებ“.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის ფორმებსა და ვადებზე ოპოზიციონერ და სახელისუფლო დეპუტატებს შორის დავას კარგა ხანა ქრონიკული ხასიათი აქვს. ოპოზიციონერები, დეპუტატ ლევან მგელაძის თაოსნობით, ამტკიცებენ, რომ ქალაქის ბიუჯეტს პირდაპირი განკარგვის წესზე გაცილებით მეტ მოგებას მისცემს ქონების აუქციონზე გატანა,თანაც ითხოვენ განკარგვის ვადების შემცირებას 30-დან 5-10 წლამდე. საკრებულოს ხელმძღვანელობა და პოზიციონერები კი მაჩვენებენ, რომ პირდაპირი განკარგვის წესი აპრობირებული და უფრო გამართლებულია, რადგან ჰქონდათ შემთხვევები, როცა აუქციონი ჩაუარდათ და საწყისი ფასების განახევრებაც მოუხდათ. რაც შეეხება განკარგვის ვადებს, მათი თქმით, 5-10-წლიანზე არც ერთი ბიზნესმენი არ იქნება თანახმა.

მიუხედავად ასეთი მსჯელობისა და ხანგრძლივი კამათისა, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული ქალაქ ოზურგეთში, მრავ კოსტავას ქუჩა №1-ში მდებარე 4393 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (26.26.42.086) 100 კვ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი ალნაგობის სახით 30 (ოცდათი) წლის ვადით გაცემის თაობაზე ქალაქ ოზურგეთის მერისთვის თანხმობის მიცემას 14-დან 10-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

სხდომაზე ცვლილებები და დამატებები შეიტანეს „ქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 დეკემბრის №56 დადგენილებაში. კერძოდ, 30 ათასი ლარით გაიზარდა სარეზერვო ფონდი, რომლის გაზრდის წყაროა არფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული სახსრები.

ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს 2016 წლის 4 აგვისტოს №50 განკარგულებაში“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში, მცნიერების ქუჩა №12-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 26.26.50.086) შიდა (საცხოვრებელი) ფართის განშლის (დაყოფის) თაობაზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მცემის შესახებ.

დადებითად გადაწყვიტეს საკითხი „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სპრივატიზაციო ობიექტის ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 თებერვლის №9 განკარგულებით დამტკიცებული ზოგიერთი სპრივატიზაციო ობიექტის (ქონების) შემცირებული საწყისი სპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ.

# საქმე წინ მიდის

დაბა ურეკის მცხოვრებ ნუნუ ასანიძესა და ნათელა ჩაფიძეს რკინიგზის გადასასვლელთან შემთხვევით შეეხდით. ისინი მანდარინის პლანტაციიდან სახლში ბრუნდებოდნენ. გავესაუბრეთ, თუ რა კეთდებოდა ურეკში და როგორ შეიცვალა მათი ცხოვრების პირობები.

ორივე ქალბატონი დაბის შესასვლელში მრავალსართულიან ბინებში ცხოვრობს.

– ურეკში წყლის სისტემა და კანალიზაციის ქსელი კეთდება. ჩვენს ბინებში წყლის პრობლემა გვქონდა. ჩვენი დეპუტატის, ბიძინა იმნაიშვილის მონდომებით ფონდი „ატუ“ დაგვეხმარა და წყლის პრობლემა მოგვიგვარეს. გარდა ამისა, გზა გაკეთდა. 1,2 კმ. გზა, ფირმა „ფერიმ“ გააკეთა,– გვითხრეს მათ.

ჩვენი რესპოდენტებიდან წახალისებულნი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის წარმომადგენლის ოფისშიც მივედით და დაბის რწმუნებულს დავით რობაქიძეს ვესაუბრეთ:

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სტიქიით დაზარალებულ 15 ოჯახს დაეხმარა სამშენებლო მასალით, სახურავით, კიდევ 5 ოჯახს ანალოგიური დახმარება უახლოეს დროში გაეწევა.

ზაფხულში საცხოვრებელი სახლი დაეწვა ზინა თოფურიას. დავეხმარეთ ხის მასალით, სახურავით. 6 კუბური მეტრი დახერხილი მასალა გადაეცა მაკა ტყაბლაძეს., ასევე დახერხილი იატაკის მასალა, ხის „ბალკები,“ცემენტი გადაეცა დიმიტრი ნამიჩეიშვილს; შეშა-ლამარა ქავთარაძეს. დავეხმარეთ მრავალშვილიან ოჯახებს , ხოლო შშმ პირს შაქრო ბარდაველიძეს (იგი უსინათლოა) დავეხმარეთ ბინის გადახურვაში.

–საქმე წინ მიდის. ურეკში დაბის განვითარებისთვის კარგი საქმე კეთდება. იმედი გვაქვს, ურეკი მომავალში ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი ადგილი გახდება – გვითრეს აქაურებმა.

# როგორ მიაღწია ტრამპმა პრეზიდენტობას

**აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვება ბევრისათვის იყო მოულოდნელი. ამერიკელებმა სახელმწიფოს ლიდერად აირჩიეს კაცი, რომელიც აქამდე არც ერთ სხვა თანამდებობაზე არ აურჩევიათ, კაცი, რომელსაც - თუ საზოგადოებრივი აზრის წინასწარი გამოკითხვების შედეგებით ვიმსჯელებთ - არ უნდა გაემარჯვა...**

როგორ მიაღწია მილიარდერმა ბიზნესმენმა, წარსულში სატელევიზიო რეალიტი შოუს ვარსკვლავმა პრეზიდენტობას?

ბირმინგემის უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს სკოტ ლუკასის ხელთ არსებული მონაცემებით, დონალდ ტრამპის მხარდამჭერებმა არჩევნების დღეს მოსალოდნელზე მეტი აქტიურობა გამოიჩინეს - მეტი აქტიურობა, ვიდრე ჰილარი კლინტონის მომხრე ამომრჩევლებმა, რაც, შესაძლოა, უფრო ძლიერ მოტივაციაზე მიანიშნებდეს. გამოკითხვების თანახმად, დონალდ ტრამპს ხმა მისცეს, ერთი მხრივ, აშშ-ის პოლიტიკური ელიტით იმედგაცრუებისა და, მეორე მხრივ, ქვეყანაში ცვლილების სურვილის გამო.

„როიტერსმა“ და კომპანია „იპსოსმა“ არჩევნების დღეს, 8 ნოემბერს, გამოაქვეყნეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელთა თანახმადაც, ამომრჩეველთა 72 % ფიქრობს, რომ ტრადიციული პარტიები და პოლიტიკოსები არ ზრუნავენ რიგით მოქალაქეებზე, ხოლო 57 %-ის აზრით, ამერიკას სჭირდება ძლიერი ლიდერი, რომელიც ქვეყანას გამოიხსნის მდიდართა და გავლენიანთა ხელიდან.

ტრამპმა მოახერხა ესარგებლა ამ განწყობით, როცა კამპანია აწარმოვა ლოზუნგით „ისევ დიადი გავხადოთ ამერიკა“. მან თავი წარმოსახა, როგორც პოლიტიკური ელიტისაგან განზე მდგომმა, დამოუკიდებელმა ფიგურამ, რომელსაც სურს შეცვალოს ვითარება და დაეჯერება, რომ სურს შეცვალოს ვითარება - მით უმეტეს, თუ მას შეადარებ მეტოქეს, ყოფილ სახელმწიფო მდივანს, სენატორს, პირველ ლედის, ჰილარი კლინტონს.

**„ლოზუნგს „ისევ დიადი გავხადოთ ამერიკა“ განსაკუთრებით ძლიერი რეზონანსი მოჰყვა ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე შტატებში, თეთრკანიან ამომრჩევლებში. ისინი უკმაყოფილო არიან, რომ ფაბრიკა-ქარხნები დაიხურა და ახალი სამუშაო ადგილები არ შექმნილა. ჰილარი კლინტონი მათ ვერ შესთავაზებდა ასეთსავე ცვლილებას, რადგან ეკუთვნის პოლიტიკურ ელიტას და 30-მდე წელია მუშაობს სხვადასხვა თანამდებობაზე“,** - ამბობს აშშ-ის ისტორიის ექსპერტი მაიკლ კალინენი.

**„როიტერსისა“ და „იპსოსის“ გამოკითხვის შედეგებით, 8 ნოემბრის არჩევნებში ტრამპს მიემხრო გაცილებით მეტი - 31%-ით მეტი თეთრკანიანი მამაკაცი უმაღლესი განათლების გარეშე, ვიდრე ჰილარი კლინტონს, და 27 %-ით მეტი თეთრკანიანი ქალი უმაღლესი განათლების გარეშე, ვიდრე კლინტონს.**

**მეორე მხრივ, კლინტონმა მიიღო, ზოგადად, ქალი ამომრჩევლების 2 %-ით მეტის ხმები, ვიდრე ტრამპმა, და უმცირესობების უდიდესი ნაწილის მხარდაჭერა. ყოფილ პირველ ლედის ხმა მისცა აფროამერიკელების თითქმის 89 %-მა, ესპანურენოვანთა 66 %-მა და აზიელი ამერიკელების 65 %-მა.**

**დონალდ ტრამპის მხარდამჭერებს, როგორც უკვე ითქვა, ელიტისაგან დამოუკიდებელი კანდიდატი სურდათ და - რაც უნდა ძნელი დასაჯერებელი იყოს - მაინც და მაინც ტრამპზე შეაჩერეს არჩევანი, მილიარდერზე, უაღრესად წარმატებულ ბიზნესმენზე! ამის მისაღწევად, ტრამპი ხაზგასმით ემიჯნებოდა პოლიტიკურ ლიდერებს, მათ კორუფციასა და მანიპულაციებში ადანაშაულებდა.**

**„ვიცი, როგორია თამაშის წესები ვაშინგტონში და უოლ სტრიტზე. ვიცი, რომ წესები მანიპულირებულია** რიგითი ამერიკელების საწინააღმდეგოდ. წესები მანიპულირებულია!“ - უთხრა ტრამპმა ამომრჩევლებს 22 ოქტომბერს, პენსილვანიაში გამართული წინასაარჩევნო შეხვედრისას. მან არც მედია დაინდო: **„ამ არჩევნების ფალსიფიცირების დიდი ნაწილი იმ ფაქტით გამოიხატება, რომ ჰილარი კლინტონს კანდიდატად ყოფნის უფლება მისცეს მიუხედავად იმისა, რომ ამდენი კანონი დაარღვია ამდენ სხვადასხვა შემთხვევაში. რატომ ეძლევა კანდიდატად ყოფნის უფლება? ამ კორუფციაში მონაწილეობს მატყუარა მეინსტრიმული მედიაც (ტაში). ისინი მოსყიდული არიან! ცრუობენ და ფალსიფიცირებულ ინფორმაციას ავრცელებენ, რათა კანდიდატი, რომელიც არ მოსწონთ, რაც შეიძლება ცუდად და სახიფათოდაც კი წარმოსახონ“,** - ასე „ამკობდა“ ტრამპი წინასაარჩევნო კამპანიის დროს მედიას და პოლიტიკურ ელიტას, საკუთარი კომპეტენტურობის დასასაბუთებლად კი ირწმუნებოდა, რომ ბიზნესმენის გამოცდილება უფრო გამოსადეგია, ვიდრე პოლიტიკურ ბრძოლაში განვლილი გზა.

ტრამპს ხელი შეუწყო კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა: ის მილიონობით ადამიანს ჰყავდა ნანახი ტელევიზიაში.

რეალიტი შოუმ, სახელწოდებით „შეგირდი“, რომელიც პირველად 2003 წელს გავიდა ეთერში და 14 სეზონს გაუძლო, დონალდ ტრამპი ნამდვილ ტელევარსკვლავად აქცია.

მაგრამ ახლა შოუსა და დაპირებების დრო წარსულს ჩაბარდა. პრეზიდენტად არჩეულ დონალდ ტრამპს უკვე იმაზე ფიქრი მოუწევს, როგორ შეასრულოს დაპირებები, მაგალითად, ააშენოს კედელი მექსიკის საზღვრის გასწვრივ და ის მექსიკასვე დააფინანსებინოს.

radiotasufleba.ge

# დავით თენიეშვილმა გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლობას დავა სააპელაციო სასამართლოშიც მოუგო

## დაზარალებულს 6 ათასი ლარის ზარალი უნდა აუნაზღაურონ

აღმოაჩინა, რომ სოფელ ბახვის გამგებლის მიერ დავით თენიეშვილის სახელზე გაცემულ ცნობაში მითითებული არ იყო ნერგების რაოდენობა.

დავით თენიეშვილი: „2013 წლის 25 დეკემბერს სოფლის გამგეობაში მივედი და გამგებელს ვთხოვე, მოეცა შესაბამისი ცნობა, რათა ჩემს საკარმიდამო ნაკვეთზე გამოყვანილი კავკასიური მთის ნაძვის ნერგები წამეღო თბილისში სარეალიზაციოდ.

გარკვეულწილად ვიცოდი თუ როგორი უნდა იყოს ეს ცნობა. რადგანაც იცვლება კანონები, წესები, მიდგომები, ამიტომ, უბრალოდ, არ გამჩენია კითხვა, რატომ არ იყო მითითებული ნერგების რაოდენობა. ცნობაში გარკვევით ეწერა დანიშნულების ადგილი, სად უნდა გამეყიდა და ნერგების წარმომავლობა, საიდან ამოღებული. ამას თან ერთვოდა სამი მეზობლის დასტური, რომ რასაც გამგებელი წერდა, სინამდვილეს შეესაბამებოდა.

26 დეკემბერს დავიწყე რეალიზაცია, მოვიდნენ შემამოწმეს, მერიისა და გარემოს დაცვის წარმომადგენლებმა, არანაირი შენიშვნა არ მოუციათ, მეორე დღეს გამოჩნდა ჯგუფი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა რაოდენობაზე. ეს ცნობა ჩამითვალა არასწორად შედგენილ საბუთად, რაც სერიოზულ დარღვევად მიიჩნია და მითხრა, შემეწყვიტა ნერგების გაყიდვა.

ვუთხარი, რომ ამ შემთხვევაში არანაირად არ ვარღვევ კანონს, თუ სოფლის გამგებლის მიერ შედგენილ ცნობაში რაღაც დოზით არასწორობაა, ამაზე ადმინისტრაციული რაღაც სასჯელით პასუხი უნდა აგოს მან, როგორც საჯარო მოხელემ, ეს გამოსწორებადია, ხელმეორედ და სწრაფად უნდა გაიცეს ცნობა ისე, რომ მე ხელი არ შემეშალოს. იქვე მიუთითე: თქვენ გყავთ რეგიონული სამსახურები. თუ ისინი გადაამოწმებენ და მოგცემენ დასტურს, რომ ჩემს სანერგეში მოთხრილია ეს 90 ძირი ნაძვის ხე, თქვენაც შეგიძლიათ, მომცეთ უკვე მყარი საბუთი, რათა უპრობლემოდ განვაგრძო ჩემი საქმიანობა.

არ მიიღეს, უფრო სწორად მიიღეს ჩემი თხოვნა მხოლოდ იმის შესახებ, რომ ადგილობრივ რეგიონულ სამსახურს გადაემოწმებინა. მართლაც გადაამოწმეს. ქუთაისის წარმომადგენლობას თან ახლდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის ამჟამინდელი მაჟორიტარი დეპუტატი ბიძინა გობრონიძე. ბატონმა ბიძინამ, რომელიც მაშინ გარემოს დაცვის სისტემაში მუშაობდა, კოლეგებს დაუდასტურა, რომ მე საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში ნამდვილად მაქვს ასეთი სანერგე, მაგრამ არ მიიღეს მხედველობაში და ჩამომართვეს ეს ნერგები. მოკლედ, რაც შემეძლო, ვიბრძოლე, რა თქმა უნდა, წესიერი მეთოდებით, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ბოლოს ვთხოვე, რადგან ნერგები მიგაქვთ, ქოთნები მაინც დამიბრუნეთ, კარგი იქნება თუ ნერგებს არ გააფუჭებთ, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლები, ან მისი მსგავსი ორგანიზაციებია და იმათ გადაეცითმეთქი, 33 ძირი ნაძვის ხე იყო, 7-8-წლიანი მცენარეები. ყურად არ იღეს, ამომიყარეს ქოთნებიდან შეყარეს პიკაპის ტიპის მანქანაზე და წაიღეს.

შემდეგ, ალბათ, დაფიქრდნენ, რომ ეს არ იყო სწორი საქციელი, მაგრამ ნომრიანი ოქმი უკვე დაწერილი იყო და ხომ ვერ დახევდნენ. მეორე დღეს დამირეკეს გარემოს დაცვის სამინისტროდან, მივსულიყავი და შევხვედროდი წარმომადგენლებს. შევხვდი ამ ხალხს. ოკლედ, შემომთავაზეს ასეთი რაღაც: ნერგებს დამიბრუნებდნენ, მაგრამ ამ ნერგების რეალიზაციას ვერ მოვახდენდი და ვერ მომცემდნენ საბუთს, რომ ეს ნერგები წამომეღო. დეპარტამენტის ხელმძღვანელს (ამდენი დრო გავიდა და გვარი აღარ მახსოვს) ვუთხარი, თქვენ მე საბუთიანი დამაკავეთ ამ ნერგებით, ასე ჰქვია, ჩამომართვით საკუთარი სანერგიდან აქ სარეალიზაციოდ ჩამოტანილი ქონება, ახლა არ მაძლევთ საპასუხო საბუთს, რომ მოვახერხო ამ ნერგების თუნდაც გურიაში ტრანსპორტირება, როგორ უნდა გენდოთ, ან რატომ უნდა ვიყო თქვენი მადლობელი-მეთქი?! ორი სტუდენტის მამა ვარ, მქონდა რაღაც გათვლები ამაზე, მაგრამ მოხდა ისე, რომ დამაზარალეს.

ამან ახლა საბუთიც მოგვთხოვა. მადლობელი იყავი, რომ საერთოდ გატანთ უკანო, – დამცინავად მითხრეს.

თუ ასეა, კარგად ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე, ვეცდები, ვნახო სამართალი. ბრალოდ, გული მტკივა, რომ ჩემნაირ ადანიანებს, რომლებიც ცდილობენ არაფერი დააშავონ და მიიღონ რაღაც შედეგი, თქვენ ასე დამცინავად ექცევითმეთქი. ეს ვუთხარი და წამოვედი.

ამის შემდეგ, მგონი 2014 წლის თებერვალში, გაიმართა პირველი სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლოში. ბრალს მდებდნენ, რომ ნერგები არ იყო წესიერად მოთხრილი და მაინც გახმებოდა თურმე. პლუს ამას, კონფისკაციასთან ერთად, უნდა გადამეხადა 800 ლარი ჯარიმა. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და გამამართლა.

გარემოს დაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა მოსამართლის ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში, სადაც, საქმის შესწავლის შემდეგ, ძალაში დატოვეს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. მათი ეს ქმედება იყო ჩემთვის ფსიქოლოგიურად დამანგრეველი, ნაცვლად იმისა, რომ რაღაც ბოდიშისმაგვარი წერილით დასრულებულიყო ყველაფერი, მეორედ მოხდა მოსამართლის გადაწყვეტილების გასაჩივრება. ამიტომ უკვე იძულებული გავხდი, მომეთხოვა ზარალის ანაზღაურება.

ამ საქმეში დიდი დახმარება გამიწია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის წარმომადგენლობის იურისტმა ჯაბა ზირეკიძემ. დავწერეთ შესაგებელი და მოვითხოვეთ აენაღღაურებინათ ზარალი. მოკლედ, შემდეგ სამი-ოთხი სასამართლო ჩატარდა. დამოუკიდებელმა აუდიტმა ზარალი 6 ათასი ლარის ოდენობით შეაფასა. მოსამართლემ, დაეკმაყოფილა ჩემი მოთხოვნა და გამოიტანა შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამის შემდეგ კიდევ გაასაჩივრეს და დაწერეს, რომ მე ეს ნერგები ამომიღია მიწიდან იმის გამო, რომ ესენი მოვიდოდნენ, ჩამომართმევდნენ, მერე ეს ნერგები გახმებოდა და ა. შ... და ეს ყველაფერი მცოდნია და ამიტომ გავაკეთე.

ჩატარდა კიდევ სასამართლო, კიდევ შეისწავლა მოსამართლემ ეს საქმე, არ დაუკმაყოფილა მათ ეს მოთხოვნა, რადგანაც რეალური, უფრო სწორად ხელმოსაკიდი ვერაფერი დაინახა.

გაგიკვირდებათ და კიდევ გასაჩივრდა ეს საქმე და ახლა უკვე აუდიტის შეფასება არ მოეწონათ. ასეთი ღირებულების ეს ნაძვის ხეები ნამდვილად არ არისო, მოიყვანეს სატყეო დეპარტამენტიდან წარმომადგენლები, რომლებმაც ვერ წარმოადგინეს კალკულაცია იმისა, თუ რა ღირებულების მომსახურება სჭირდება ერთი წლის ნერგს. ამიტომ მოსამართლემ არ ჩაუთვალა ესეც, კი ამბობდნენ, რომ ეს არ ღირს ამდენიო, მაგრამ რეალურად ვერ დაასაბუთეს. აქაც გამამართლა მოსამართლემ.

შემდეგ გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში, ეს იყო პირველ ნოემბერს და სააპელაციო სასამართლომ დატოვა ისევ ძალაში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. ახლა მიცემული აქვთ გონივრული ვადა 21 დღე. ვფიქრობ, ალბათ, კიდევ გაასაჩივრებენ. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ზის საჯარო მოხელე, ვისაც უხდიან ხელფასს და რას წერს და რას აკეთებს, თვითონაც არ იცის. ზუსტად საჯარო მოხელის უცოდინარობისა და უგულისყურობის გამო გადამხდა, რაც გადამხდა. პიროვნულად გადაწყვიტა ვიღაცამ, რომ დაეწერა ასეთი ოქმი. მე, მაგალითად, იმ საჯარო მოხელეს (და არა სახელმწიფოს) ავანაზღაურებინებდი მოქალაქისათვის მიყენებულ ზარალს“.

მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად ყველა ინსტანციამ გამამართლა, ერთხელაც არ მიგრძნია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს რომელიმე წარმომადგენელს გასჩენოდა სინანული იმისა, რომ დააშავეს ჩვეულებრივად მოქალაქესთან“.

**P.S. გასულ პარასკევს ჩვენ ვერ შევძელით დაკავშირება გარემოს დაცვის სამინისტროს იმ წარმომადგენლებთან, რომელთა ქმედებით, დაზარალდა მოქალაქე დავით თენიეშვილი, რასაც მოწმობს ორი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები. მათ პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ, რასაკვირველია, თუ საჯარო მოხელეები გააკეთებენ კომენტარს.**

# ქართული პოეზიის ერთ-ერთი ჯარისკაცი

თემურ მარშანიშვილი



ვინც თამაზ ხარაიშვილს იცნობს, დამეთანხმება, რომ ამ შემოქმედ კაცს იუმორი მირონივით სდის, ამიტომ მასთან შეხვედრა და საუბარი ადამიანს ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებს. ორიოდე კვირის წინ თამაზმა რედაქციაში შემოგვიარა და საარჩევნო ციებ-ცხელებით გადატვირთული ტვინი გაგვამზეურებინა. სიცილ-ხარხარში მამამისის, ბატონი ბიჭიკო ხარაიშვილის ერთი ცხოვრებისეული, ხალისიანი ეპიზოდიც მოგვიყვა:

„მამუკა გოგუაძესთან ვმუშაობდი. გახსოვთ, ალბათ, მამუკას „მარიოტა“. ერთხელ ოზურგეთს პოეტი მიხეილ ქვლივიძე და რომელიღაც ქართველი პროზაიკოსი (გვარი არ მახსოვს) სტუმრობდა. მამუკამ მითხრა, იქნებ ბატონ მიხეილს თხოვო, რამდენიმე ახალი ლექსი ჩვენთან დასაბეჭდად გაიმეტოსო. იმავე დღეს ეს თხოვნა წერილად ვაქციე, ბატონო მიხეილ, „მარიოტასთვის“ დიდი პატივი იქნება თუ მასში თქვენს რამდენიმე ახალ ლექსს გამოაქვეყნებთ-მეთქი, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს წერილი პოეტს ვერ გადავეცი. წამოვიღე სახლში და ჩემს საწერ მაგიდაზე დავდე. რამდენიმე დღეში ბიჭიკო, რომელსაც ეს წერილი უნახავს, მომადგა — საიდან გაიგეთ ჩემი მეორე სახელიო და თაბახის ფურცლებზე გადაწერილი თავისი ლექსები გადმომცა“...

მოკლედ, ბატონი ბიჭიკოს ამ ეპიზოდმა იმ დღეს თამაზის მოთხრობილი ყველა იუმორი დაჩრდილა.

ბიჭიკო (მიხეილ) ხარაიშვილი დაიბადა ისტორიულ სოფელ ძიმითში. ერთადერთი ნაკლი რითაც თავისი თანატოლებისაგან გამოირჩეოდა გახლდათ პოეზია, ფანატიკურად უყვარდა შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა. ... კითხულობდა ბევრს და, რაც მთავარია, თვითონაც წერდა.

მამამისი, ბატონი შალვა ხარაიშვილი გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლაში უსაფლავო ჯარისკაცების ორდენის წევრი გახდა. 1943 წლის აგვისტოში ბიჭიკოც გაიწვიეს არმიაში. მსახურობდა 392-ე მოტომსროლელი დივიზიის 802-ე პოლკში ჯერ ბათუმში, შემდეგ გორში. მალე უმცროსი მეთაურის წოდება მიიღო და თავისი მომავალი კარგა ხნით მხედრულ გზას დაუკავშირა. 1947 წელს უფროსი ლეიტენანტი უკვე დაცემულ გერმანიაში, იქ დისლოცირებულ საბჭოთა ჯარების შემადგენლობაშია. ნიჭიერმა ახალგაზრდამ ისე აითვისა გერმანული ენა, რომ ხშირად თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა. თითქმის ექვსი წელი დაჰყო გერმანიაში. პირველი შვილიც (თამაზი) აქ შეეძინა.

მშობლიურ სოფელში დაბრუნებულმა მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მომავალმა იურისტმა თავისი საქმიანობა იმთავითვე დაუკავშირა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. მილიციის კაპიტანი წლების განმავლობაში ირიცხებოდა განსაკუთრებით საგანგებო საქმეთა გამოძიების საკავშირო ჯგუფში, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იძიებდა საკმაოდ გახმაურებულ საქმეებს...

სიცოცხლის ბოლო წლებში სამხედრო საქმეს ასწავლიდა მშობლიური სოფლის სკოლაში.

სამართლის დოქტორი, „პოლიციის დიდოსტატად“ წოდებული, ბატონი ჯემალ გაბელია თავის წიგნში „წლები და ადამიანები“ ბიჭიკო ხარაიშვილს „ქართული პოეზიის ერთ-ერთ ჯარისკაცს“ უწოდებს.

„მიუხედავად იმისა, რომ უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა მართლწესრიგისა და კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ, როგორც საქართველოს ისტორიაში არაერთგზის მომხდარა ხოლმე, თოფს ხმალს, საერთოდ იარაღს, ერთი წუთითაც არ შეუშლია ხელი, ყოფილიყო უამრავი ლექსის, პოემის, ბალადის ავტორი. მისი ლექსები რეგულარულად იბეჭდებოდა მაშინდელ საკავშირო,რესპუბლიკურ თუ რაიონულ პრესაში.“ — წერს ბატონი ჯემალ გაბელია და იქვე დასძენს: „...ბიჭიკო ხარაიშვილმა მრავალი ფარაჯა გამოიცვალა, მაგრამ ბარაქალა, რომ მას არასოდეს გამოუცვლია სიკეთის, კაცობის, ოჯახის თავკაცობის, მამულისა და უჭკნობი პოეზიისადმი ერთგულების მანტია.“

გთავაზობთ ბიჭიკო ხარაიშვილის რამდენიმე ლექსს თავისი კრებულიდან „შემოდგომა“.

### ლოკოკინა და გუგული

**გზის გასაყარზე ლოკოკინას შეხვდა გუგული,**
**გაიცინა და ხმამაღლა თქვა: „აი, უგნური,**
**თან უსუსური, უმაქნისი, დონდლო, მშიშარა,**
**მთელი ცხოვრება ზურგით დააქვს მისი ნიჟარა.**
**ბინა თუ მინდა, ცოტა არის ფრინველთა ბუდე?**
**აბა რას ვაგებ, სხვის ბუდეში მე კვერცხებს თუ ვდებ?**
**შვილებს მიზრდიან, ოფლსა ღვრიან გარჯა ზრუნვაში,**
**ლოკოკინას კი ტყუილად მისცა ღმერთმა ულვაში“.**
**გაგონილისგან ლოკოკინა თითქმის გახევდა,**
**ყბედს და მოლაყბეს ნაღვლიანი თვალით გახედა,**
**მას არ შეეძლო გუგულივით ენის ტარტალი,**
**ძლივს გადასწყვიტა ჩერჩეტისთვის ეთქვა მართალი:**
**„ეხლა ცოტა მეც მომისმინე, ჩემო გუგულო,**
**შენ თვითონა ხარ უგუნური, თანაც უგულო,**
**ვაი მას, ვინაც ცხოვრებაზე შენსავით ფიქრობს,**
**შვილებს სხვა უზრდის, მოკლებულებს მშობლიურ სიტკბოს,**
**იცი თუ არა, შენი „სიბრძნის“ არავის სჯერა,**
**დამცინი კიდეც, მოკლებული საკუთარ კერას.**
**მე მირჩევნია ეს ნიჟარა ზურგით ვატარო,**
**ვიდრე შენსავით ვიყო ყბედი და უსახლ-კარო“.**
**ალბათ, მიმიხვდით, რისი თქმა მსურს მე ამ არაკით,**
**კაციც ხომ არის, რომ სარგებლობს სხვისი ამაგით!**

### ლელო ბურთი

*მაგონდება ლელო ბურთი,*
*გათელილი მოლიანი,*
*ჯიბრში მდგარი ორი გუნდი —*
*„უცოლო“ და „ცოლიანი“.*
*ფინიშისკენ სწრაფვა სრული,*
*ჭაბუკური შემართება,*
*ძლევის ჟინით ფრთაშესხმულნი*
*ვიქცეოდით შევარდნებად.*
*ბურთი იქეთ, ბურთი აქეთ,*
*ჩვენ ქცეულნი ქარბუქებად,*
*მახსოვს, ერთხელ გავივაკეთ,*
*ბურთით ხელში ჭაბუკებმა.*
*დაგვედევნენ, გზაც მოგვიჭრეს,*
*გვერდიდანაც მოგვიარეს,*
*მაინც იმ დღეს ლელო ბურთში*
*ჩვენ ვაჯობეთ ცოლიანებს.*
*გულით მინდა მოედნები*
*ძველებურად ახლაც ვთელო,*
*დე, სანეფო ჭაბუკებმა*
*გაიტანონ ისევ ლელო.*

### გაზაფხული

*მზემ ღრუბლის ფარდა გახია,*
*სხივთა მარაო გაშალა*
*და რძისფერ ნისლში გახვია*
*სოფლის მიდამო... გზა-შარა...*
*მთებზე ჯერ კიდევ თოვლია,*
*მთებზე ჯერ კიდევ სუსხია,*
*ბარად კი მწვანე მოლია,*
*ვარდს გული გადაუხსნია.*
*ბარად ფერების ხვავია,*
*ფრინველთ მეჯლისიც იწყება,*
*საამო სანახავია — ბუნების გამოღვიძება.*
*მეცხლები, როგორც შურდულნი,*
*ფრთებით ცის ტატნობს კოცნიან*
*და მოგვძახიან ჟღურტულით:*
*— ვარდობა მოგვილოცნია!*

### ქართველ ქალს

*ძველი ამბავი, ამბავი ცხრა ძმის,*
*ლეგენდასავით შემორჩა დრო-ჟამს.*
*როცა გაუპეს გული ცხრა არწივს,*
*დედამ აღმართა საბრძოლო დროშა.*
*დღესაც კრწანისში, თუ მარაბდაში*
*ყვავილზე ნახავთ მათ სისხლის წვეთებს.*
*ბრძოლით უვლიათ ცეცხლის ღადარში*
*ვაშლოვანელს თუ მაია წყნეთელს.*
*ბრძოლის დროს მუდამ უჭრიდა ხმალი,*
*შრომის დროს მამულს სინათლეს ჰფენდა,*
*ასეთი იყო ქართველი ქალი,*
*ასეთი იყო ქართველი დედა.*

# აგროკლიმატური რისკების შეფასების ძირითადი კრიტერიუმები მეციტრუსეობაში

**პლანეტაზე გლობალური დათბობის პირობებში მნიშვნელოვნად გაიზრდება აგროკლიმატური რისკების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე, ეს მოვლენა ძალზე მგრძნობიარე იქნება ციტრუსოვან კულტურათა მიმართ.**



დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ კლიმატს განაპირობებს: თბილი და ღრმა შავი ზღვის მდებარეობა, ჩრდილოეთისა და ჩრდილო აღმოსავლეთის მხრიდან კავკასიონის მთების არსებობა, აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის, გურიის, აჭარის მთებით შემოფარგლულობა.

სუბტროპიკული კლიმატური პირობების მრავალწლიანი საშუალო მაჩვენებლები ასეთია: წლიური საშუალო ტემპერატურა +14,5 გრადუსი , თბილი თვის საშუალო ტემპერატურა +23,5 გრადუსი , აბსოლუტური მინიმუმი -8-12 გრადუსი ,აბსოლუტური მაქსიმუმი +37,5 გრადუსი ,წლიური ნალექების რაოდენობა 1400-2600 მმ, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4500 გრადუსი .

საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში ციტრუსოვანი კულტურების გავრცელება ხდება ისეთ ზონებში სადაც აბსოლუტური მინიმუმი მერყეობს -40 დან -8-მდე . ასეთ ზონებს მიეკუთვნება: აჭარა, გურია, აფხაზეთი და სამეგრელოს შავი ზღვის სანაპირო. ზღვის დონიდან 200-300 მ. სიმაღლეზე, სადაც ციტრუსოვან კულტურათა წარმოება შესაძლებელია ყინვებისაგან დაცვის ღონისძიებების გარეშე.

გამოკვლევებით დადგენილია,რომ საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში ასეთი ფართობების რაოდენობა ლიმონის კულტურისათვის შეადგენს 7-8 ათას, ხოლო მანდარინის, გრეიპფრუტის და ფორთოხლისათვის 180 ათას ჰა-ს. თუმცა საქართველოში ციტრუსოვანთა საერთო ფართობი 50 ათას ჰა-ს არ აღემატებოდა. დანარჩენი ფართობები დაკავებული იყო ჩაის და სხვა მნიშვნელოვანი კულტურების ქვეშ.

ისტორიულად ციტრუსოვანთა ფართობები მნიშვნელოვნად მცირდებოდა მაღალი ყინვების დროს. გასული ორი საუკუნის პერიოდში ასეთი იყო 1873-74, 1910-11, 1924-25, 1949-50, 1971-72, 1984-84, 1992-93 წლები. უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში მკაცრი ზამთარი არ შენიშნულა, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი იქნება მკაცრი ზამთრის განმეორება.

ყოველივე აქედან გამომდინარე ციტრუსოვანთა მწარმოებელი ფირმები, ფერმერები და გლეხები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი მოსალოდნელი ყინვების საწინააღმდეგო ბრძოლის იმ ღონისძიებათა სისტემის ცოდნითა და შესაძლებლობებით,რომლებიც თავიდან აგვაცილებს მატერიალურ ზარალს. ასევე ციტრუსოვანთა მწარმოებლები მასიურად უნდა ჩაერთონ სადაზღვევო კომპანიების მომსახურეობაში, რათა პერსპექტივაში მათ ისევ გაუჩნდეთ მოტივაცია ამ შემოსავლიანი საექსპორტო პროდუქციის საწარმოებლად.

დღეისათვის საქართველოში ციტრუსოვანთა საერთო ფართობი შეადგენს 10 ათას ჰა-ს. აჭარაში 6 ათას ჰა-ს, გურიაში 2,5 ათას ჰა-ს, სამეგრელოში ათას ჰა-ს,უმნიშვნელო რაოდენობითაა იმერეთში. ამ ფართობის 90%- უჭირავს მანდარინს, 6% ფორთოხალს დანარჩენი ლიმონს და გრეიფრუტს. საშუალო წლიური წარმოება 100-120 ათასი ტონაა.

აგროკლიმატური რისკების შედეგად გამოწვეული ზარალი დამოკიდებულია როგორც უარყოფითი რისკ-ფაქტორების სიძლიერეზე,ასევე ციტრუსოვანი ბაღების მდგომარეობაზე.

ციტრუსოვანთა ნარგაობისათვის აგროკლიმატური რისკებიდან შესაძლებელია დასახელდეს:

**1. ზამთრის ყინვები** — ციტრუსოვანთა კულტურები ყინვებისადმი განსაკუთრებულ მგრძნობიარობას იჩენს. ტენიან სუბტროპიკებში ადვექტიური ცივი მასების შემოჭრა ხდება ჩრდილოეთ კავკასიიდან. შავი ზღვის სანაპირო ზოლში ტემპერატურა -12-14 გრადუსს ქვემოთ ეცემა ამ შემთხვევაში ციტრუსოვანთა კულტურა იღუპება. ასეთი ყინვების განმეორება შავი ზღვის სანაპირო ზონაში შესაძლებელია 10-15 წელიწადში ერთხელ, თუმცა გლობალური დათბობის პირობებში შესაძლებელია ეს დიაპაზონი ცვალებადი გახდეს.

კატასტროფული ყინვების პირობებში , თუ მოხდა მკენარეების მთლიანი დაღუპვა საჭიროა ნაკვეთის გასუფთავება, მკენარეების ამოძირკვა და პლანტაციის გაშენება მეცნიერულად შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე. ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს გასხვლა დაზიანებული ნაზარდების მოშორება. ნასხლავი ადგილების მალამითი დამუშავება, 1-2%-იანი ბორდოს ხსნარით შეწამვლა.

**2. საგაზაფხულო წაყინვები** - განპირობებულია ნიადაგის ზედაპირის ინტენსიური გაცივებით მოწმენდილ წყნარ ღამეში ამ დროს ნიადაგის ზედაპირზე ხდება ტემპერატურის დაცემა, სუბტროპიკულ ზონაში წაყინვები ხდება აპრილ-მაისის

გვ-6

# აგროკლიმატური რისკების შეფასების ძირითადი კრიტერიუმები მეციტრუსეობაში

პერიოდში.

საგაზაფხულო ყინვების დროს ძირითადად ზიანდება ახლად გამოტანილი ვეგეტატიური და გენერაციული კვირტები, ნაზი ფოთლები, ყვავილები. ციტრუსოვნებისათვის განსაკუთრებით საშიშია წაყინვები მასიური ყვავილობის დროს.

საგაზაფხულო წაყინვებით დაზიანებულ მცენარეებზე პირველ რიგში უნდა გაძლიერდეს მოვლითი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება: განოყიერება, მორწყვა, დაზიანებული ტოტების მოშორება, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

**3. სეტყვა** – დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში სეტყვის საშიშროება იშვიათი მოვლენაა, თუმცა არის შემთხვევები გაზაფხულსა და შემოდგომაზე რაც სერიოზულ ზიანს აყენებს ციტრუსოვანთა ნაყოფებს. განსაკუთრებით მანდარინის ნაყოფს, რომლის კანი სირბილის გამო ადვილად ზიანდება, რაზედაც შემდგომ დღეებში ნაყოფზე ჩნდება ყავისფერი ლაქები, ვითარდება ლპობის ბაქტერიები და ნაყოფს ეკარგება სასაქონლო ღირებულება და ნაყოფი ხდება უარგისი სარეალიზაციოდ.. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია დაზიანებული ნაყოფი მოშორდეს საღ ნაყოფს.

**4. უხვთოვლიანობა**- საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში უხვთოვლიანობა ხშირი შემთხვევაა. რეგიონების და ზონების მიხედვით თოვლის საბურველის სიმაღლე 0,3-1,5 მეტრამდე მერყეობს. თოვლიანობის დადგომის სეზონი დეკემბერ-თებერვალია.

ციტრუსოვნები მარადმწვანე მცენარეებია, ისინი ხშირი დატოტვით ხასიათდებიან, ყოველივე ამის გამო თოვლის დიდი საბურველი იწვევს ტოტების მტვრევას, ხშირ შემთხვევაში მცენარის მთლიანად მოთხრას. აღნიშნული რისკის შემთხვევაში მოსავლიანობის კლება მოსალოდნელია არ მარტო იმავე წელს, არამედ შემდგომ წლებში სანამ მცენარე არ აღიდგენს ვეგეტატიურ ორგანოებს. უხვთოვლიანობის წინააღმდეგ უნდა მივმართოთ ნარგაობის დაბერტყვას, თუ ნარგაობა მაინც დაზიანდა, მაშინ მისი აღდგენა უნდა განხორციელდეს ადრე გაზაფხულზე. ამ შემთხვევაშიც მცენარეებს უნდა მოშორდეს დაზიანებული და დახლეჩილი ღერო-ტოტები გასხვლის საშუალებით, გადანაჭერ ადგილებზე წასმული უნდა იქნეს მალამო. ფართობი გაწმინდოს, შტამბი შეთეთრდეს კირ-ხსნარით, ნიადაგი გაფხვიერდეს, შეტანილი უნდა იქნას ორგანული და მინერალური სასუქები, შეწამლოს ერთი ან ორ პროცენტიანი ბორდოს სითხით.

**5. ხანგრძლივი გვალვები** - განვლილი 10-15 წლის განმავლობაში სუბტროპიკულ ზონაში დფიქსირდა ყოველ მე-2 და მე-3 წელს საგაზაფხულო გვალვები, რამაც შეაფერხა ციტრუსოვანთა ვეგეტაცია, საკვები ნივთიერების ნიადაგიდან შეთვისება. განსაკუთრებით საშიშია მის-ივნისის გვალვები, როცა მიმდინარეობს მასიური ყვავილობა, ნაყოფის გამონასკვა. მაღალი ტემპერატურისა და ტენის დეფიციტის გამო ადგილი აქვს მასიურად ყვავილებისა და ნასკვების ცვენას. რაც შეეხება ზაფხულის გვალვებს მცენარეზე ვითარდება წვრილი უხეშ-კანიანი არასტანდარტული ნაყოფები. გვალვების ასეთი სიხშირის გამო დღის წესრიგში დგება ციტრუსოვანთა წყლით უზრუნველყოფა, როგორც დაწვიმებით, ისევე წვეთობრივად. მორწყვა ზრდის მოსავლიანობას და ნაყოფის ხარისხიანობას.

6. ეროზია, მეწყერული მოვლენები და წყალდიდობა - საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში ნალექების არათანაბარი განაწილება ანვითარებს წყლის მიერ ეროზიას, განსაკუთრებით შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე. ამ დროს განვითარებული ზვავები, მეწყერები იწვევს ციტრუსოვანთა ნარგაობის ისეთ დაზიანებას რომლებიც აღდგენას არ ექვემდებარება.

ციტრუსოვანთა ნარგაობის ეკოლოგიური რისკებისაგან დაზიანების შემთხვევაში დათვალიერება უნდა მოხდეს 5-10 დღის განმავლობაში მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მიერ.

ციტრუსოვანთა ბაღებში მაღალხარისხოვანი სტანდარტული ნაყოფების მიღება შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული აგროტექნიკური ღონისძიებების სრულყოფილად გატარების შემთხვევაში. საჭიროა დაიცვათ მინიმუმისა და მაქსიმუმის კანონი, რომელიმე ერთი ღონისძიების უგულვებელყოფა და მეორეს მაქსიმალურად განხორციელება შეიძლება გახდეს მოსავლის მთლიანი განადგურების, ან მცენარის გახმობის მიზეზიც კი.

აღნიშნულ საკითხებზე თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ სრული კონსულტაცია ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკურ ცენტრ „ანასეულ"-ში, სადაც შესაძლებელია მოხდეს თქვენი ბაღის ვიზუალური დათვალიერება, ნიადაგის სინჯის აღება, ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, რომლის საფუძველზე თქვენ გადმოგეცემთ კონკრეტული რეკომენდაცია გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მიმდინარე 2016 წლის ცივი და წვიმიანი შემოდგომა ბუნებრივია დაგვიანებს ნაყოფების სიმწიფეში შესვლას,საჭიროა კრეფის ვადების ინტენსიური გამოყენება რათა ვიწინეთ ზემოთ ჩამოთვლილი რისკფაქტორების უარყოფითი ზემოქმედებისაგან დაზღვეული.

გახსოვდეთ: ციტრუსოვანთა ბაღებში თავის დროზე გატარებული აგროტექნიკური ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეამცირებს ამ დანაკარგებს.

**ზაურ გაბარიჩიძე**
სმმ დოქტორი,პროფესორი
**რუსუდან ტაკიძე**
სმმ აკადემიური დოქტორი
**გაბო გოგოლაძე**
სმმ აკადემიური დოქტორი

# სკანვორდი




## № 45-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ოთარ მელვინეთუხუცესი; ესპანური საფეხბურთო კლუბი — ოსასუნა; დიმიტრი მოფერებით — დიტო; ქარიშხლის სახეობა - ტორნადო; არგონავტების გემი — არგო; კარნავალების ქალაქი— რიოდეჟანეირო; რძის ნაწარმი — დო; ოვკარა — არენდა; სისხლის ერთ-ერთი კომპონენტი — როე; ჟამი — დრო; სოფელი თუშეთში — ომალო; სომხეთის დედაქალაქი — ერევანი; გაზაფხულის ყვავილი — ენძელა; წყლის ჭურჭელი — დოქი; დიდი თეთრი ბოლოკი — თალგამი; არისტოკრატთა თამაში — გოლფი; თბილისური ჟარგონი — ტო; უცნობი — ინკოგნიტო; ... გორბაჩოვა — რაისა; სქელი ქალალდი — მუყაო; გაკვირვების შემსახილი — ეე; ცეცხლის ენა — ალი; ერთგვარი ლუკმა — არამი; რაც ცხენს უნდა ამოსდო — აღვირი; ჭურის თავსახური — როგო; რკინიგზისპირა ადგილი ვაგზალში — ბაქანი; სვანური სიმღერა — ლილეო; ქალის სახელი — ანანო; ციხე-სიმაგრე დუშეთში — ანანური; ბოსტნეული — ჭარხალი; მდინარე ქართლში — ლიახვი; ნულოვანი ქულა — ზერო; ელექტრონული ფოსტა — მეილი; ბორვლომის საფეხბურთო კლუბი — თორი.

# მარჯორი უორდროპი გურიის მთავარი ქალაქის შესახებ



1894 წლის 3 დეკემბერს მარჯორი უორდროპი თავის ძმასთან ერთად ეწვია საქართველოს. ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში მოგზაურობდნენ და ძირითადად დასავლეთ საქართველოს გაეცნენ. მათი მარშრუტი ასეთი იყო:ბათუმი-თბილისი-ქუთაისი-გელათი-მოწამეთა-ნიგოეთი -ჯუმათი სუფსა-ოზურგეთი-შემოქმედი-ბათუმი.ინგლისში დაბრუნებისას შთაბეჭდილებები საქართველოში მოგზაურობის შესახებ.ამონარიდი მისი შთაბეჭდილებებიდან:“ ქუთაისიდან ნიგოეთს ვეწვიეთ თავად მაჭუტაძეს მისი მეულლე ინგლისელია (ანა ტარსი მლ.) და მთელს ქვეყანაში განთქმულია საკუთარი სათნოებითი.იგი დიდად ზრუნავს მის მამულში მოსახლე გლეხობაზეავადმყოფობასა და გაჭირვების შემთხვევაში ყველა მას ეკითხება და მისგან იღებს რჩევას.მისი შვილები საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობენ, როგორც ინგლისურად, ისე ქართულად. თავადი მაჭუტაძე და მისი მეულლე კეთილად გავიმასპინძლდნენ. ნიგოეთიდან ცხენებით წავედით მთებში მდებარე ჯუმათის მონასტერში, სადაც გურიის რამდენიმე მთავარია დაკრძალული. იანვრის დასაწყისი იყო, მაგრამ ყველგან ვხვდებოდით ხარისხრებით, ენძელებით, იებით, ფურისულებითა და სხვა ყვავილებით დაფარულ მდიდრულ ხალიჩას. ხუთი მილი ცხენით ვიარეთ. გზა, უფრო სწორად ბილიკი თანდათან ზევით იწევდა დაახლოებით 2 საათის შემდეგ უკვე მთებში ვიყავით, ვუახლოვდებოდით მონასტერს და პანორამაც უფრო და უფრო იშლებოდა. ჯუმათი ჩოხატაურის ქედის თავზეა, რომელიც რიონის აუზს სუფსის აუზისაგან ყოფს. ის ერთადერთი ქედის უმაღლესი მწვერვალია და ზღვის დონიდან 1644 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს. ჩრდილოეთისაკენ, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი გადაჭიმულა, მისი ყინულოვანი მწვერვალის დანახვა შეიძლება,მთი კონტურები მკაფიოდ ირეკლება ლაჟვარდოვან ცაზე. ენგური, ხობი, რიონი და წყალწმინდა ნაყოფიერ ველებს შუა ჩამოედინება აღმოსავლეთით ქართლ-იმერეთის ქედია. სამხრეთით მოჩანს აჭარა-ახალციხის მთათა თოვლით დაფარული მწვერვალები, რომლებიც კედლად აჭვარებია გურიის ტალღოვან მდელოებს.ბათუმის სანაპირო ჩვენს თვალწინაა და ისეთივე მშვენიერია, როგორც ტრაპიზონის დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროა, თავისი კონცხებითა და ყურეებით, თანდათან, რომ აფერმკრთალებს შორეული ნისლი,შორს მოსჩანს პალიასტომის ტბასთან მდებარე ფოთი.

ჯუმათში მამა არსენი გვმასპინძლობდა- კეთილი, გულღია ბერი, იქ დასადგურებული სიმყუდროვის მცველი,და ჩვენი მგზური ამ საინტერესო ადგილების დათვალიერებისას.მონასტერი ადრე საეპისკოპოსო საყდარი იყო და დიდ სიმდიდრეს ფლობდა. აქ ჯერ კიდევ შემონახულია შესანიშნავი ხატები,ეკლესია 20 წლის წინ რუხი პორირით მოუპირკეთებიათ.

ჯუმათიდან გავემართეთ სუფსაში, ორი დღე თავად გურიელის საზამთრო რეზიდენციაში გავატარეთ,იმ გურიელისა, რომელიც მთელი ამ არემარეს მმართველი იყო XIX-საუკუნის შუა წლებამდე. გურიელის ოჯახი მრავალმხრივ გასაცარია, მისი წევრები, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ახასიათებთ შესანიშნავი ,მუქი ხვეული თმა. გურიელები იშვიათად იხურავენ ქუდს,რადგან კულულები ჯეროვნად იცავენ ზაფხულის სიცხისა და ზამთრის სუსხისაგან. მთ ძალიან ლამაზი სწორი ნაკვთები და გულუბრყვილო გამოხედვა აქვთ. მაგრამ ამავე დროს ინტელიგენტურები და ფიცხები არიან.ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ისინი მეომარი ხალხია და ეს იოლად დასაჯერებელია :არაერთ თხზულებაში აღწერილია მთი სიმამაცე, რომელთა ავტორია მამა გურიელი—შესანიშნავი თანამედროვე ქართველი პოეტი, ოი დაახლოებით 2 წლის წინ გარდაიცვალა. მისი ლექსები მთელს ქვეყანაშია ცნობილი. თუმცა ყველა მთგანი ჯერ არ გამოქვეყნებულა. ოჯახს დღეს ტელემაქ გურიელი თავკაცობს,რომელიც დიდი ენთუზიზმით შეისწავლოს მშობლიურ ლიტერატურას.სუფსაში ინგლისელი სტუმრის გასაცნობად მდიდრულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ბევრი თავადი ჩამოვიდა .იმის წარმოსადგენად თუ როგორ აცვიათ ქალებს ერთი კარგად აღნაგ ქალბატონს აღვიწერთ .მისი ბაკი ზღვისფერი აბრეშუმის მანტიის ქვეშ მოჩანდა გრძელი კაბის წინა ნაწილი-მდიდრულად გაწყობილი თეთრ აბრეშუმზე ოქრომკედით ნაქარგი წელი, ოქრომკედითვე ნაქარგი თეთრი სარტყელით .დაეშვენებინა, რომლის ბოლოები ტერფამდე აღწევდა.შიშველ კისერს ყელსაბამი უმშვენებდა.კაბის სახელოები იდაყვიდან ფართოვდებოდა, ქართელთა თავსაბურავს ახლავს ხავერდა ან აბრეშუმის 2 დიუმის სიგანის სალტე, რომელიც აბრეშუმთაა ნაგარგი ან ძვირფასი მკედითაა მოოქვილი ის წარბებიდან იწყება და თავს მთლიანად ფარავს. ამ ადგილიდან მხრებამდე მაქმანიანი პირბადე ეშვება. თმა ჩვეულებრივ უკან აქვთ გადაწეული და დაწნული,წინ კი სახის ორივე მხარეს გრძელი კულულები ჩამოუშლიათ .ბურულ ქალებსაც გრძელი ნაწნავები აქვთ, ხოლო თავს შავი ან ფერადი ელეგანტური მაქმანიანი მანდილით იმოსავენ. ორივე თავსაბურავი ძალიან ლამაზია, თუმცა გურულებისა შესაძლოა უფრო მდიდრულ იერს ჰმატებს ნაკვთებს .ვიდრე ქართელებისა,რომელიც მთ ღირსეულ გამომეტყველებას ანიჭებთ. მოკლედ ასე შეიძლება დავახასიათოდ ამ ორი განსხვავებული პროვინციის მოსახლეობა. ქართლელები უფრო სერიოზული და დარმასლურად გამოიყურებიან, გურულები კი სხარტები და მხიარულები არიან.

სუფსიდან ოზურგეთში-გურიის მთავარ ქალაქში გავემართეთ.სინამდვილეში ეს დაბაა, რომელიც დიდ სოფელს ოდნავ თუ აღემატება მის მკვიდრთ ლიტერატურისადმი დიდი ინტერესი ახასიათებთ.აქვთ სტამბა, სადაც ბევრი საინტერესო წიგნი იბეჭდება. აქ ჩვენი მასპინძელი გახლდათ ძველი ათაბაგების ანუ ახალციხის მთავართა შთამომავალი,რომელმაც დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა და პატივისცემით მიგვიღო .ოზურგეთის შემდეგ შემოქმედი მოვიარეთ.ეს მონასტერი მდინარე ბჟუჟზე მდებარეობს, კარგი სბაბი მოგვეცა ამ მდინარის გახსენებისა. ჩვენი ეტლი რამდენჯერმე კინალამ ამოტრიალდაროცა გორაკზე მირახრახდა,წყალი კი ჩვენგან სულ ერთი დიუმით იყო დაცილებული. ადრე შემოქმედი ისე, როგორც ამ მხარის სხვა მონასტრები შემოქმედს ექვემდებარებოდნენ. მონასტერი ორნავიანია, უფრო ძველი და უფრო მომცრო რვაკუთხა გუმბათიდან შემოჭრილი სხივებით ნათდება. ტაძარი, -რომელიც შიგნით აგურითაა ნაგები გარედან კი მოცისფრო პორფირით, ჟამთა სიავეს დაუზიანებია. აქ გურიელების საძვალეა. მონასტრის წინამძღვარმა მამა ამბროსიმ, მაღალმა პირმშვენიერმა ქართელელმა გულთბილად მიგვიღო მან წინა საღამოს მიგვიწვია და ჩვენს საპატივცემულოდ სადილი გამართა მონასტერში.

ოზურგეთიდან გამომგზავრების წინ ქალაქის საზოგადოებამ გამოსამშვიდობებელი წვეულება მოგვიწყო კლუბში. არასოდეს დამავიწყდება გურულების აღფრთოვანება, კეთილგანწყობა და თხოვნა ისევ ვწვეოდით მათ მხარეს. უთვალავჯერ მიგვიპატიჟეს თავიანთ მამულში გამოსამშვიდობელი ბანკეტი ორი საათი გაგრძელდა და მხოლოდ იმიტომ დასრულდა,რომ ჩვენ საღამოს მატარებლით ბათუმს უნდა გავმგზავრებულიყავით. იქ მყოფ 80-მდე სტუმართაგან ზოგი ძალზე მაღალი მამაკაცი იყო.სამი მამაკაცი შვიდ ფუტამდეც კი აღწევდა. გამგზავრებამდე ერთ-ერთმა მთელი ბოთლი ადგილობრივი შამპანურით სულმოუთქმელად შესვა ჩვენი მგზავრობის სადღეგრძელო. ბოლოს ჩვენ გამოვიარეთ და რაზში შეკრებილ 80- სტუმარს შორის, რომლებიც გვადღეგრძელებდნენ შემდეგ ყველა მთგანი ჩვენთან დასამშვიდობებლად აივანზე გამოვიდა .იბერიელთა სტუმართმოყვარეობა კარგად არის ცნობილი .XII საუკუნის მათ უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი პოემაში - ,,ვეფხისტყაოსანი“ წერს;“ რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. ამ ქვეყნის მკვიდრთ არასოდეს ავიწყდებათ ეს მცნება და პრაქტიკულადაც იყენებენ მას. ქართველებს ერთი შესანიშნავი გამოთქმა აქვთ: ,,სტუმარი ღვთის საჩუქარია“( ,,სტუმარი ღვთისაა“). სიძულვილი მათთვის უცხოა,ისინი უბრალო გულთბილი წარმოსახვის დიდი უნარით დაჯილდოვებული ადამიანები არიან. მათ, ვისთვისაც ჩვეულია თანამედროვე ყოფის პირობითობა ,ძალზე ხიბლავთ ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრება, ძნელად წარმოსადგენია, ისეთი სიმშვიდე პოვო სადმე, ვიდრე-ზოგიერთ ქართულ ულამაზეს სოფელში, თვით ქართველი გლეხიც კი, რომელიც თვითონაც კულტურულია, ბევრ რამეს სწავლობს მშობლიური კლასიკური ლიტერატურისაგან.

ოზურგეთში უორდროპების ყოფნის ქრონიკას ავსებს და აზუსტებს გაზეთ“ ოვერაში“ 1895 წლის თებერვალში დაბეჭდილი კორესპოდენცია, რომელიც ცნობილი მესტამბის კ.თავართქილაძის მიერაა ოზურგეთიდან გამოგზავნილი.“ ოზურგეთი, 25 ამ თვეს (იანვარს) ოზურგეთში გვეწვივნენ ინგლისელი სტუმრები, და-ძმა ვარდროპნი და 26-ში დათვალიერეს შემოქმედის მონასტერი,მისი ძვირფასი სიმდიდრე და ხელოვნება ხოლო დღეს 27იანვარს შემოვიდნენ ჩვენს წიგნის მაღაზიაში და წიგნთ-საცავში, საიდანაც ათი-თორმეტი მანეთის წიგნები წაიღეს რომელიც თბილისში ვერ ეშოვათ მართალი უნდა მოგახსენოთ, ჩემს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა,როდესაც მშვენიერიე ქართული კილოთი მითხრეს:“ ახალ სენაკში და ოზურგეთში დაბეჭდილი წიგნები, რაც გაქვთ ,მოგვიტანეთ“. ჩვენი ქართველი ,,ბარიშნები“ და ,,დამბი“,რომ შემოდიან ,,აკაკის“ საჩინენას შენს ,,ტკიპოგრაფიაში“ რატომ არ ბეჭდავთო, ან კიდევ ,,ნოვოსენაკის“ ,,ტიპოგრაფიაში“ უფრო“ დახოდი გაქვს თუ ოზურგეთისაშიო და სხვა. აბა ამ დროს მოდი და ნუ მოხვალ აღტაცებაში, როდესაც იმ შესანიშნავი ქვეყნიდან და ჩვენზე დიდად დაშორებული სახელმწიფოთაგან, სადაც ხსენება ქართველისა არ არის, მოდის ადამიანი,რომელსაც თავისით შეუსწავლია მშვენიერი ქართული ენა და მელაპარაკება ჩინებულის ქართულის ენით. “ახალი სენაკისა ,, და ,,ოზურგეთის“ გამოცემები მომაწოდეთო. იმდღესვე იყო ოზურგეთის საზოგადოებისაგან სამოქალაქო კლუბში გამართული სადილი, ჩვენის იშვიათის სტუმრების პატივსაცემად. სადაც 80 -ე მეტი ქალი და კაცი დესწრო და საღეგრძელოებზედ ბევრი გზნობიერი სიტყვა წარმოითქვა.“

**მანანა ლომაძე**

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

## სულთათანა

# გელა სიამაშვილის ხსოვნას

ორმოცი დღე გავიდა გელა სიამაშვილის გარდაცვალებიდან. საზოგადოება მას იცნობდა როგორც განათლებულ,პრინციპულ,ენერგიულ პიროვნებას, კარგ მეუღლეს და მამას,ამიტომაც ძალიან ბევრ ადამიანს დასწყვიტა გული წუთისოფლიდან მისმა ნაადრევმა წასვლამ.

მისი გარდაცვალების შემდეგ გავიგეთ, რომ ლამაზ მოგონებებს წერდა მშობლიურ სოფელ მთისპირზე, თანასოფლელებზე, მეგობრებზე, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ოზურგეთის ყოფაზე.

,,მთისპირი ერთ-ერთი ლამაზთაგანია იმ მთავორიან დასახლებულ სოფლებს შორის, რომელიც გურია-აჭარის ქედის სამხრეთ ფერდობზე არის განლაგებული. ციხისუბანი კი თამარ მეფის ციხით, წიაღისეული სიმდიდრით, სამკურნალო წყლით ერთ-ერთი მიმზიდველი უბანია, სადაც სიამაშვილები და თალაკვაძეები სახლობდნენ. რად ღირდა ბახვისწყლის ხეობაში სათევზაოდ წასვლა, სევასტი გუჯაბიძის წისქვილში შესვლა და სოფლის თუ ქალაქის ან კიდევ ქვეყნის შესახებ პოლიტიკური აზრების მოსმენა.

საშუალო სკოლა, ჩვენი სახლიდან 2 კილომეტრზე მეტი მანძილით იყო დაშორებული. როცა პირველ კლასში შევედი, ჩემი ძმა —კორნელი მე-10 კლასის მოსწავლე იყო, ამით უფრო მიადვილდებოდა სკოლაში სიარული...

სულ მალე სოფლიდან ჩვენი გადასახლების გადაწყვეტილება მიიღეს. ეს ყოველივე განაპირობა ჩვენს უბანში თეთრი მიწის საბადოს აღმოჩენამ და ორგანიზებული წესით საცხოვრებლად გადასახლდნენ ციხისუბნელები ქ. ოზურგეთში, თბილისში და სხვა ქალაქებში...““

საყვალა სიამაშვილის ოჯახი ქ. ოზურგეთში, ქუთაისის ქუჩაზე დასახლდა. გელა ქალაქის მე-3 საშუალო სკოლაში სწავლობდა. სკოლის დამთავრებისთანავე, ოზურგეთში ღვინის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. შემდეგ, დაბა ნასაკირალში გააგზავნეს ფიზკულტურის მეთოდისტად. ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელად, მუშაობდა ნარეკვის მეურნეობაში, აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკაში.

გელა სიამაშვილმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა. მუშაობდა ოზურგეთის რაიონულ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, საიდანაც ოზურგეთის რაიკომში გადაიყვანეს ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

1974 წელს ლია არობელიძეზე დაქორწინდა, რომელიც 40 წლის განმავლობაში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ჯერ მე-3 საჯარო სკოლაში, შემდეგ №2 საჯარო სკოლაში.

1988 წლიდან გელა ოზურგეთის №2 ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა, შემდეგ ქ. რუსთავში, ხარისხის კონტროლის ინსპექციაში, საქენერგოში კონტროლის განყოფილების გამგედ.

რაც მთავარია, გელამ და ლიამ სამი შვილი აღზარდეს. უფროსი ქალიშვილი მაკა და სიძე მიხეილ ქავთარაძე ექიმი-სტომატოლოგები არიან და ნიუ იორკში საკუთარი სტომატოლოგიური ლაბორატორია აქვთ. მათთან მუშაობს უმცროსი ვაჟი ლაშაც. მაკას და მიხეილს ორი ქალიშვილი ნუცა და თარა ჰყავთ.

შუათანა ფიქრია და სიძე გენადი მგელაძე ისრაელში იმყოფებიან, ქ. ხულონში მუშაობენ. მათაც ორი ქალიშვილი ჰყავთ: ანანო და მაკინე.

ბოლო წლებში გელას მძიმე სენი აღმოაჩნდა. იგი ვაჟკაცურად ებრძოდა მას. ორი წელიც არ იყო გასული უფროსი ძმის, კორნელი სიამაშვილის გარდაცვალებიდან გრძნობდა მალე დაემშვიდობებოდა ოჯახს, ახლობლებს.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ისრაელში მიმავალი ქალიშვილი და შვილიშვილები ესტუმრნენ.

— ბაბუ,მე მალე ჩამოვალ და გნახავ — გამოეშშვიდობა 5 წლის მაკინე.

— ბაბუ, შენ რომ ჩამოხვალ, მე აქ აღარ დაგხვდები. მე მაშინ ცაში ვიქნები —სევდიანად უპასუხა ბაბუამ...

მართლაც, ერთი თვის შემდეგ გელა ზეციურ საქართველოში გაემგზავრა.

**ახლობლები.**

# ბადრი ჭეიშვილის გახსენება

ხუთი წელი გავიდა შესანიშნავი პიროვნების, გულისხმიერი ადამიანის, პროფესიონალი ვეტექიმის, ჩემი განუმეორებელი მეგობრის ბადრი ჭეიშვილის გარდაცვალებიდან.

ბადრი იმდენად სრულყოფილი პიროვნება იყო, რომ ჩემი რამდენიმე სიტყვა ვერაფერს შემატებს მის ადამიანურ პორტრეტს, რომელშიც ყველა ადამიანური ღირსება იკითხება. წუთისოფლისა რა ვთქვი, თორემ ასეთი კაცები დიდხანს უნდა ცოცხლობდნენ, რათა მათგან მაგალითი აიღონ ჩვენმა მომავალმა თაობებმა.

სადაც კი იშრომა, სადაც კი იღვაწა, ყველგან თავისი კვალი დატოვა, კვალი სიკეთისა, კვალი კაცობისა, კვალი, რომელსაც ვერც ჟამთა სვლა გადაშლის და ვერცავის მსურველი გააუფასურებს. ასე ბადრიმ იცხოვრა, მაგრამ საწუთროს ასე ლამაზად განვლა ბევრს არ შეუძლია, ასეთი ყოფა და მოღვაწეობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ბადრის სახით ნამდვილად რჩეული მეგობარი მყავდა.

ნათელი და სანთელი მის ხსოვნას!

**თამაზ კილაძე**

# მილოცვები

თითქმის ერთდროულად გამითხოვდნენ კარის მეზობლები, ჩემს თვალწინ გაზრდილი მართლა კარგი გოგონები ანა წულაძე და ნაცა გოგუა.

ამმობენ, არც მათი რჩეულები გიორგი დოლიძე და ვასიკო გოგიციძე არიან ურიგო ბიჭები.

ვულოცავ მათ დაქორწინებას.

ღმერთმა მისცეს ამ ახალშექმნილ ოჯახებს კეთილდღეობა და შვილთა სიმრავლე.

დიდი სიყვარულით,
გულსუნდა მახარაძე.

## დედას – ქალბატონ ჯულიეტა ბაბილოძე-ვაშალომიძისას

ძვირფასო დედა, რა უნდა გითხრა ისეთი, რაც შვილებს დედისთვის არ უთქვამთ. და მაინც, შენთვის დამადების დღის მილოცვას დავიწყებ გაუხუნარი სიცყვებით:

„ყვლაზე დიდი ადამიანი დედამიწაზე, შენა ხარ, დედა,

სულით მდიდარი, გულით მდიდარი — ყვლათფერს გრძნობ და ყვლათფერს ხედავ.“

ძალიან მიყვარხარ, დედა, შენს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, სადაც არ უნდა წავიდე, სახლისკენ მომიხარია, რადგან ჩვენს პაცარა მინაში მოთუსთუსე მეგულები.

დედა, საყვარელო დედა, რთული ცხოვრების განვლის, მრავალ ძვირფას უახლოეს ადამიანთან გამოთხოვების მიუხედავად, შენ შეინარჩუნე ცხოვრებისათვის თვალის გასწორების უნარი... იმედი... შენ წლები დაამარცხე შენი სილამაზითა და ახალგაზრდული განწყობებით.

მე და ჩემი ძმა, დალი, ანინო — მთელი შენი ოჯახი შენს გვერდითაა. შენ ჩვენთვის ძალიან ძვირფასი და საიმედო ადამიანი ხარ. უთვალმა, ჩვენო დედიკო, მოგცეს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე. ჩვენ ეს უსაშვლოდ გაგვახარებს.

შენი **მედიკო**

# ფაჩულიას მე-900 მატჩი NBA-ში

"გოლდენ სტეიტის" გამარჯვება "დენვერზე" (125:101) მნიშვნელოვანი თამაში იყო ზაზა ფაჩულიასთვის. მატჩი, რომელშიც ქართველმა ცენტრმა 4 ქულა, 4 მოხსნა და 4 ჩაჭრა დააგროვა, მის ამერიკულ კარიერაში საიუბილეო, მე-900 იყო.

ამ სეზონში ზაზამ მეცხრედ ითამაშა (საშუალოდ: 4,2 ქულა, 5,8 მოხსნა, 2,3 პასი), მანამდე 13 სეზონში კი **NBA**-ს 891 მატჩში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

32 წლის ფაჩულია 2003 წლიდან **NBA**-ს მოთამაშეა. მან 8 სეზონი "ატლანტაში", 3 "მილუოკიში", თითო "ორლანდოში" და "დალასში" გაატარა. ზაფხულიდან

იგი ასოციაციის ფინალისტის, "გოლდენ სტეიტის" მოთამაშეა, სადაც ყველა მატჩი სასტარტოში ჩაატარა.

* ქართველმა 900-დან 395 შეხვედრა სასტარტოში ითამაშა.

* ჯამში მან მოედანზე 19 281 წუთი გაატარა.

* ზაზას ანგარიშზე 6 386 ქულა, 5 371 მოხსნა, 586 პასი, 386 ჩაჭრა და 208 დაფარებაა.


# ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

(რ)


# ქ. ოზურგეთის ჩემპიონატი ჭადრაკში

**ალიონი.** ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ქ. ოზურგეთის 2016 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გაიმართა, რომელშიც 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ამ ჩემპიონატს წინ უძღოდა შესარჩევი ტურნირი, რომელიც აგვისტოში ჩატარდა.

ამჯერად ბრძოლა არამარტო საპრიზო ადგილებისთვის გაჩაღდა, არამედ მას უნდა გამოევლინა ის 5 მონაწილე, რომელიც გურიის 21-ე ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებდა. შეჯიბრება მართლაც საინტერესოდ წარიმართა. ჩემპიონობის ტიტულისათვის, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა გურიის მოქმედ ჩემპიონსა და მოქმედ ვიცე-ჩემპიონს შორის გაჩაღდა. ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე, გურიის ვიცე-ჩემპიონი გივი სიამაშვილი წაუგებლად ლიდერობდა და გიორგი გოგოლაურს ნახევარი ქულით უსწრებდა. მას ბოლო ტურში ელგუჯა ურუშაძესთან ჩემპიონის ტიტულისთვის ყაიმიც ჰყოფნიდა. სიამაშვილმა პარტია კარგად დაიწყო (პაიკს იგებდა), მაგრამ ურუშაძეს, რომელიც მე-3 ადგილისთვის იბრძოდა, მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს. ასეც მოხდა, ურუშაძემ მოიგო და მესამე ადგილი გაინაღდა, ხოლო ჩემპიონობა გოგოლაურს დარჩა.. მე-4 და მე-5 ადგილებზე შესაბამისად ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა, 13 წლის თორნიკე მახარაძე და ვეტერანი რომან კუტუბიძე გავიდნენ, რომლებმაც იმავდროულად გურიის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორმა ზურაბ ანდღულაძემ გვითხრა, წარმატებული მოჭადრაკეების დაჯილდოება 14 ნოემბერს, დღის 12 საათზე გურიის ჩემპიონატის გახსნისას მოხდება, რომელიც ქალაქის სპორტის სასახლეში გაიმართება.

ჩემპიონატი ჩატარდა ქ. ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის (გოჩა კვანტალიანი) და გურიის ჭადრაკის ფედერაციის (ზურაბ ანდღულაძე) ერთობლივი ორგანიზებით.

## ინფორმაციები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრიდან

XXX

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსებით, 2016 წლის 5-6 ნოემბერს ჩატარდა ტრენინგი თემაზე — „კარგი ჰიგიენის პრაქტიკა, ხუთი გასაღების პრინციპი უვნებელი სურსათისათვის, პერსონალის პირადი ჰიგიენა“.

ტრენინგი ითვალისწინებდა ფილიალების (საბავშვო ბაღების) მენეჯერის, მედდისა და მზარეულის გადამზადებას.

ტრენინგს უძღვებოდა სურსათის უვნებლობის ექსპერტი-ტრენერი ელენე გიორგაძე.

XXX

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალების (საბავშვო ბაღები) მუსიკის მასწავლებლებს გადაეცათ ახალი მუსიკის სახელმძღვანელო „მუსიკალურ-რიტმული აქტივობები“. ავტორები: მერაბ მერაბიშვილი, ნანა ზარდიაშვილი.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა +8+15 | ძლიერი წვიმა +5+9 | წვიმა +4+9 | ძლიერი წვიმა +2+6 | წვიმა -1+6 | მზე, +2+7 | მზე, +4+12 |
| 14 ნოემბერი ორშაბათი | 15 ნოემბერი სამშაბათი | 16 ნოემბერი ოთხშაბათი | 17 ნოემბერი ხუთშაბათი | 18 ნოემბერი პარასკევი | 19 ნოემბერი შაბათი | 20 ნოემბერი კვირა |